

PECULIARITIES OF USING THE PARTICLE *ARA/AR* IN ORAL SPEECH

არა/არ ნაწილაკის გამოყენების თავისებურებანი ზეპირმეტყველებაში

Tea Burchuladze

PHD in Philology,

Senior Scientist of TSU Arnold Chikobava Linguistics Institute,

Tbilisi, 8 Ingorokva, 0108, Georgia,

+995593228805, burchuladzetea@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-2614-012X>

**Abstract.** In modern connected speech, it is very common to use sentences containing the particle *ar* with the positive meaning. These kinds of sentences are also found in writing and mass media, e.g., *vints ar unda ikos*, *rats ar unda ikos*, *rogorts ar unda ikos* “Whoever they are, whatever it is” etc. Sentences having the particle *ar* with the positive meaning are mainly found in constructions that contain relative pronouns and relative adverbs. However, it is also common in other expressions, e.g., *ra ar gaaketa*, *rogor ar etsada*, *vin ar miugzavna* “They did everything. They tried their best. They asked everyone to talk to them”, etc.

In the above-mentioned cases, the participle *ar* is used for stylistic purposes. It is noted that (in the expressions like *vints ar unda ikos*, *rats ar unda ikos*) it is required to maintain the expressiveness of the sentence, and in some cases – it is needed to strengthen the meaning. The same can be said about the constructions that contain the syntagms of the following type - *ra ar gaaketa*, *rogor ar etsada*, *vin ar miugzavna*. But a fact should be mentioned here - it does not indicate the negative meaning, but, on the contrary, it brings positive semantics. It enhances the action expressed by the word *unda*. At first glance, it is a content inaccuracy, because in the sentences of the this type *rats ar unda gaaketo*, *amas ver shedzleb*, *vints ar unda iko*, *maints ar shegrcheba* “No matter what you do, you will not be able to do it. No matter who you are, you will still not be able to maintain it”, by adding the particle *ar*, the action is expressed negatively when the context implies positiveness. Cf.: *rats unda gaaketo*, *vints unda iko*... But in the mentioned sentences, it is the participle *ar* that emphasizes the performance of the action connected to the word *unda*. That's why we believe that the given sentences are formed by the stylistic needs and should not be considered as a mistake. The negative form of reasoning is used as a function of the positive. In other words, they are prohibitive sentences in form, and affirmative sentences with the meaning.

**Keywords:** Syntax, Oral speech, Particle.

თეა ბურჭულაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,

ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას N8, 0108, საქართველო,

+995593228805, burchuladzetea@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-2614-012X>

**აბსტრაქტი.** თანამედროვე გაბმულ მეტყველებაში ძალიან ხშირია არ ნაწილაკიანი წინადადებების გამოყენება დადებითი შინაარსით. ამგვარი სემანტიკით ასევე გვხვდება მწერლობასა და მასმედიაშიც, იგულისხმება ვინც არ უნდა იყოს, რაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა იყოს... ტიპის გამოთქმები. დადებითი შინაარსით არ ნაწილაკიანი წინადადებები ძირითადად მიმართებითი ნაცვალსახალებისა და მიმართებითი ზმნიზედების შემცველ კონსტრუქციებში გვხვდება, მაგრამ ასევე ხშირია ის სხვა შესიტყვებებშიც: რა არ გააკეთა, როგორ არ ეცადა, ვინ არ მიუგზავნა...

დასახელებულ შემთხვევებში არ ნაწილაკი სტილისტიკური დანიშნულებითაა გამოყენებული. აღნიშნულია, რომ (რაც არ უნდა იყოს, ვინც არ უნდა იყოს... სახის შესიტყვებებში) ამას მოითხოვს გამოთქმისთვის ექსპრესიულობის შენარჩუნება, ხოლო რიგ შემთხვევებში – მისი გაძლიერების საჭიროება. ასეა რა არ გააკეთა, როგორც არ ეცადა, ვინ არ მიუგზავნა... ტიპის შესიტყვებების შემცველ კონსტრუქციებშიც. მაგრამ აქ ერთი გარემოებაცაა დასამატებელი – მისით არა უარყოფით შინაარსი, არამედ, პირიქით, დადებითი სემანტიკა აღინიშნება. ის აძლიერებს უნდათი გამოთქმულ მოქმედებას. ერთი შეხედვით შინაარსობრივი უზუსტობაა, რადგან რაც არ უნდა გააკეთო, ამას ვერ შეძლებ, ვინც არ უნდა იყო, მაინც არ შეგერჩება ტიპის წინადადებში არ ნაწილაკის დამატებით გამოდის, რომ მოქმედების უარყოფითად გადმოცემაა მაშინ, როცა კონტექსტი დადებითს იგულისხმობს. შდრ.: რაც უნდა გააკეთო, ვინც უნდა იყო... მაგრამ დასახელებულ წინადადებებში სწორედ არ ნაწილაკი უსვამს ხაზს წინადადებით გამოხატული მოქმედების შესრულებაზე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მოხმობილი სახის წინადადებები სწორედ სტილისტიკური შინაარსითაა განპირობებული და შეცდომადაც არ უნდა ჩაითვალოს. აქაც მსჯელობის ნეგატიური ფორმა პოზიტიურის ფუნქციით არის გამოყენებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმით უკუთქმითი, შინაარსით კი წართქმითი წინადადებებია.

**საკვანძო სიტყვები:** სინტაქსი, ზეპირმეტყველება, ნაწილაკი

**შესავალი.** მტკიცების მიხედვით წინადადება ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი. ამ შინაარსის გამოსახატავად ენა იყენებს შესაბამის ნაწილაკებს. ცნობილია, რომ მიგებითი ნაწილაკები დადასტურებითია ან უარყოფითი. დადასტურებითია: **ჰო, კი, დიახ**, ხოლო უარყოფითი – **არა, ვერა**. ისინი გამოიყენება არა მარტო კითხვის პასუხად, არამედ ბრძანების, თხოვნისა თუ რაიმე ვარაუდის დასადასტურებლად ან უარსაყოფად, ან კიდევ წინა თქმულის გასაძლიერებლად თუ დასაპირისპირებლად (კვაჭაძე, 2010: 334-335). აღსანიშნავია, რომ მიგებითი ნაწილაკები მთელი წინადადების მაგივროვასაც ეწევიან (შანიძე, 1980: 610).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წინადადებას უკუთქმით შინაარსს აძლევს: 1. უარყოფითი ნაწილაკები (არ, ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნუ, ნუღარ...), 2. უარყოფითი ნაცვალსახელები (არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი...), 3. უარყოფითი ზმნიზედები (არსად, ვერსად, ნურსად...) (კვაჭაძე, 2010: 41-42).

უარყოფა უნივერსალური კატეგორიაა, მაგრამ მისი გამოხატვის ფორმები განსხვავებულია არა მარტო არამონათესავე, არამედ მონათესავე ენებშიც (ქურდაძე, თვალთვადი, მარგიანი-სუბარი & ზეკალაშვილი, 2016: 73).

**მეთოდები.** წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ლინგვისტური მასალის კრიტიკული ანალიზი სინქრონის ჭრილში, სტრუქტურული ანალიზი, დედუქცია, ინდუქცია, სინტაქსური ანალიზი.

**შედეგები.** წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია არა/არ ნაწილაკების გამოყენების თავისებურებანი ზეპირმეტყველებაში. ნაჩვენებია წინადადებაში მისი გამოყენების სტილისტიკური და სინტაქსური ასპექტები. გამოკვეთილია სასაუბრო მეტყველებასა და მედიაში დასახელებული უარყოფითი ნაწილაკების დადებითი შინაარსით გამოყენების განსაკუთრებით გახშირებული ტენდენცია.

**მსჯელობა.** როგორც ცნობილია, არა/არ ნაწილაკები აქტიურად მონაწილეობენ წინადადების უარყოფითი შინაარსის გადმოსაცემად. თუმცა მის გამოყენებას ზეპირმეტყველებაში ახლავს ენობრივი თვალსაზრისით საინტერესო თავისებურებანი. ა. დავითიანი აღნიშნავს: „უკუთქმითი წინადადება უშუალოდ უარყოფით პრედიკატთან არის დაკავშირებული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უარყოფითი პრედიკატიც არ არის გამოხატული უარყოფა, თუმცა სტრუქტურა უკუთქმითი წინადადებისაა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია გაძლიერებული ემოციურ-სტილური დატვირთულობის მქონე (აქტუალიზებულ) წინადადებებში, როგორცაა, მაგალითად: „ვინ არ მოხიბლულა ქართველთა სტუმართმოყვარეობით?!“; „ამის გაძლება არ გინდა?“; „როგორ არ ვიჩივლო?!“ და სხვ.

ამ სახის წინადადებებში მსჯელობის ნეგატიური ფორმა პოზიტიურის ფუნქციით არის გამოყენებული“ (დავითიანი, 1978: 100).

არა/არ ნაწილაკის თავისებურებების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მ. მაჭავარიანის პოეზიის გაანალიზების მიხედვით შენიშნულია არა ნაწილაკის გამოყენების სპეციფიკა. ზოგჯერ ის ხაზს უსვამს კი არ ნაწილაკების ერთად გამოყენებით გამოხატულ დადასტურებას და ნიშნის მოგებას, ხან უარყოფითნაწილაკიანი ზმნით გადმოცემულ სათქმელს დაბეჯითებით უარყოფს: „ტყუილა არ ყოიდა მამალი თურმე!“, ხოლო ზოგან იგი მხოლოდ ძლიერი ემოციის გამომხატველია და ლექსში გადმოცემულ განწყობას მეტ გამომსახველობას ანიჭებს (ქურდაძე, ლომია, მარგიანი & ჭუმბურიძე, 2022: 282-283).

ზოგ შემთხვევაში არა აძლიერებს რიტორიკული შეკითხვით გადმოცემულ აზრს – სხვისი მისაბამი არაფერი მჭირს. უარყოფითი ნაწილაკის დართვით ეს რიტორიკული შეკითხვა უფრო მეტად ემოციური ხდება, უფრო მეტ გამომსახველობას იძენს: „არა, სხვისი მისაბამი რა მჭირს, თვარა კი“. ასეთი ფრაზები, ძირითადად, სპონტანური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და ლიტერატურაში სტილისტიკური ფუნქციით გამოიყენება (ქურდაძე, ლომია, მარგიანი & ჭუმბურიძე, 2022: 280).

ქართულ სასაუბრო მეტყველებაში დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკები კი და არ ერთადაც გამოიყენება ამ ტიპის წინადადებებშიც: ტყუილად კი არ მოჰკრეს თვალი...გიგოლას! (მ.ჯავახ.); ტყუილად კი არ ჩამომშორდნენ ბალებიც! (მ.ჯავახ.); ცხენი განა ეხლა კი არ არის?! (ი. ჭავჭავ.).

ამ ტიპის ძახილისა და კითხვა-ძახილის წინადადებებში აღნიშნული ნაწილაკების ერთად გამოყენებით გამოხატულია ნათქვამის დადასტურება ნიშნის მოგების ნიუანსით. ასეთივე დანიშნულებისაა აკი ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, სწორედ არ და კი ნაწილაკების შერწყმის დადასტურების ფუნქცია აქვს და არა უარყოფის. კითხვით-ძახითი ინტონაციის წინადადებაშიც: აგერ არ მოდის?! (ქურდაძე, ლომია, მარგიანი & ჭუმბურიძე, 2022: 281).

გამოტანილია დასკვნა, რომ უარყოფითი ნაწილაკები, მათი ძირითადი ფუნქციის – უარყოფის გამოხატვის გარდა, ალტერნატიული, მტკიცება-დადასტურების, ფუნქციითაც გამოიყენება და ასევე სხვადასხვა ემოციურ-გამომსახველობით ნიუანსსაც სძენს წინადადებას. უარყოფითი ნაწილაკის დამატებითი ფუნქციით გამოყენების საფუძველს სხვადასხვა შემთხვევაში ქმნის: ამ ნაწილაკის პოზიცია, სხვა ნაწილაკთან დაწყვილება, ინტონაცია, კონტექსტი (ქურდაძე, ლომია, მარგიანი & ჭუმბურიძე, 2022: 283).

რ. ჭიკაძე შენიშნავს, რომ ლექსიკური საშუალებები მიუთითებენ კომპონენტთა შორის წართქმითი და უკუთქმითი აზრის შეპირისპირებულობასაც:

- ქალიშვილი დაგიპირისპირდა?
- ახლა **ადარ**, მაშინ კი.

ზაურის ახალ წლამდე კი ველაპარაკე, მაგრამ ახლა – **ადარ**.

„შეკვეცილი კონსტრუქციის ზმნა-შემასმენელს გარდა პირის, რიცხვისა და დროისა, პრედიკატიან კომპონენტთან მიმართებით შუძლია აგრეთვე მეტ-ნაკლებად გამოხატოს სხვა გრამატიკული კატეგორიებიც. ამ მხრივ, კარგად იკვეთება გეზისა და ორიენტაციის შეპირისპირებული წყვილები: „რად გინდოდა, მარისთან წასულიყავი და არა ჩემთან“; „რატომ მოგცათ თქვენ და არა თქვენს დას?“ (ჭიკაძე, 2017: 149).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში არის თვალსაზრისი უარყოფითშინაარსიანი წინადადების ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ გენერატიული გრამატიკის მოდელი ერთგვარად აღწერს კომუნიკაციის დროს ადამიანის გონებაში მიმდინარე პროცესებს, მაშინ უარყოფითი წინადადების წარმოქმნისათვის რთული პროცესი უნდა ვივარაუდოთ: ჯერ თხრობითი (მტკიცებითი) წინადადების წარმოქმნა და შემდეგ მისი უარყოფა (უარყოფით წინადადებად გარდაქმნა). ასეთი ჰიპოთეზის სასარგებლოდ თითქოს მეტყველებს ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ უარყოფითი პასიური წინადადების შეფასებისას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე შესაბამისი მტკიცებითი წინადადებებისა (პ. ვესონი). ამ ჰიპოთეზის საპირისპიროდ აღნიშნულია, რომ კომუნიკაციისას წინადადების წარმოქმნა ხდება სიტუაციიდან გამომდინარე, ხოლო სიტუაციიდან ამოსვლით მტკიცებით-უარყოფითი წინადადებები თანაბარ დონეზე დგანან: სიტუაციის მიხედვით ხდება ან მტკიცებითი, ან უარყოფითი გამონათქვამების წარმოქმნა (ასათიანი, 1982: 29-30).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამახვილებულია ყურადღება **მიაღწევს, შეძლებს, მოაგვარებს** ტიპის ზმნებთან უარყოფითი ნაწილაკების გამოყენების თაობაზე. ეს ზმნები მოქმედების დასრულებზე მიუთითებენ, **არ** ნაწილაკი კი კატეგორიულად უარყოფს მოქმედების შესრულებას, ნაწილაკსა და ზმნის შინაარსს შორის ლოგიკური კავშირი რომ არ იყოს დარღვეული, წარმოდგენილ კითხვით თუ თხრობით წინადადებებში **არ, თუ, არა, არავინ, არაფერს, არც** სიტყვების ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი სიტყვები: **ვერ, თუ ვერა, ვერავინ, ვერაფერს**. ამასთან დაკავშირებით გამოტანილია დასკვნა, რომ ამგვარ წინადადებებში **არ** ნაწილაკის გამოყენება იმით არის გამოწვეული, რომ მთქმელი ცდილობს სიმძაფრე მიანიჭოს ნათქვამს (ქურდამე, ლომია, მარგიანი & ჭუმბურიძე, 2022: 249-250).

თანამედროვე გაბმულ მეტყველებაში ძალიან ხშირია **არ** ნაწილაკიანი წინადადებების გამოყენება დადებითი შინაარსით. ის ამგვარი სემანტიკით ასევე გვხვდება მწერლობასა და მასმედიაშიც: „მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რომანტიკულია ასეთი შერეული ქორწინებები, მაინც ძალიან რთულია შეგუება, **რაც არ უნდა** გააკეთო“; „ამით **რაც არ უნდა** გააკეთო, ეს გაკეთებული ვერ უტოლდება იმას, რაც გააფუჭა იმით, რომ ამ ხელისუფლებამ თვითნებურად ვიღაცას ფული წაართვა“; „ასეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანი ჩასაფრებულია, **რაც არ უნდა** გააკეთო, ვერავის გულს ვერ მოიგებ, მაინც რაღაცას იტყვიან...“; „მაგათ თუ უგდე ყური, **ვინც არ უნდა** იყო, გაგასულელებენ“; „ეს ძალა ხომ შენსას არ გაგატანინებს, **ვინც არ უნდა** იყო და რა რკინის ხელიც **არ უნდა გქონდეს!**“; „მაგრამ **როგორც არ უნდა** მოიწყინო, გაიტეხო გული, შენს ჯიუტ თევზებს საკვები მაინც უნდათ“; „ამის შემდეგ **როგორც არ უნდა** ეცადო საკუთარ ცხოვრებასთან მიახლოებას, მაინც მარტო რჩები საკუთარ თავთან“; „**რაც არ უნდა** სრულყოფილი იყოს ელექტრონული კონტროლი, ამ ტიპის ბიბლიოთეკაში გაცილებით უფრო ადვილია წიგნის მოპარვა, ვიდრე ჩვენთან“; „ერთადერთი რამ, რასაც, **რაც არ უნდა** ეცადო, ვერ



გაქცევი“; „იქაური გულშემატკივარი უფრო მომთხოვნია, პატარა შეცდომასაც არ გაპატიებენ, ვინც არ უნდა იყო, სათადარიგოთა სკამზე გაგამწესებენ“; „ვინც არ უნდა იყო, პირველ რიგში, იყავი კარგი კაცი“; – ვინც არ უნდა იყო შენ, ჰოი თავხედო რაინდო, კადნიერად რომ უახლოვდები ყველა მომაკვდავთაგან უმამაცესი მოგზაური რაინდის იარაღს“.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი შინაარსით არ ნაწილაკიანი წინადადებები ძირითადად მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნიზედების შემცველ კონსტრუქციებში გვხვდება, მაგრამ ასევე ხშირია ის სხვა წყობისასაც: „რა არ გააკეთა, როგორ არ ეცადა, მაგრამ ეს გემრიელი ლუკმა მისი საკბილო არ აღმოჩნდა“; „სულ ორიოდ დღის დანიშნული თავკაცი როგორ არ ეცადა, წარმატებული დებიუტი ჰქონოდა, მაინც არაფერი გამოუვიდა“; „რა არ გააკეთა ჩემმა ძმამ მისი შვილისათვის, მაგრამ ყველაფერი ამო გამოდგა“; „როგორ არ ეცადა ხელისუფლება, წერტილი დაესვა რამიშვილი-ბექაურის ინციდენტისთვის, მაგრამ ვერაფერს გახდა“; „ვინ არ ჩაერთა საქმეში, ვინ არ სცადა მისი ამბის გაგება, მაგრამ აფხაზები მუდამ ერთს გაიძახიან – ჩვენ არაფერი ვიცით მის შესახებ“. ხშირია ის კითხვით სიტყვებთანაც: „მითხარი, როგორ არ უნდა გავაკეთო ეს“; „აბა როგორ არ შეგიყვარო?“ ასეთი შინაარსით აშკარაა არა მოქმედების არშესრულება, არამედ, პირიქით, მთქმელი შესრულებას, დადებით მომენტს გახაზავს. ვფიქრობთ, სწორედ ეს ფაქტორია წინ წამოწეული ზემოთ მოხმობილ წინადადებებშიც. ენას დასჭირდა არ ნაწილაკის დადებითი შინაარსით გამოყენება ნათქვამის გასამლიერებლად.

ამ თვალსაზრისით თავისებურია ამგვარი გამოთქმებიც: „ხომ არ გინდა, დაეჭიდო?“; „ამან კი იცის, მაგრამ არ გინდა ათქმევიწინო?“; „ბედი არ გინდა? მარტო მე მიწევს ამის გადატანა“; „ბებო, რამე ხომ არ გინდა? – ვკითხე ერთხელ“; „არ გინდა ცოლი შეერთო, შვილი გყავდეს?“; „ვალიდოლი ხომ არ გინდა? – გულის ჯიბეს ისინჯავს ვასო“. მოყვანილ მაგალითებში შინაარსობრივად არ გინდა დადებითი სემანტიკის ფუნქციითაა და არა უარყოფითი, აქ არ ნაწილაკი სურვილის შესრულებას გამოხატავს. ამგვარი სპეციფიკა კითხვით წინადადებებში გამოიყენება. თუ შევეუპირისპირებთ დასახელებული გამოთქმების რეალურ უარყოფით შინაარსს, სხვაობა აშკარა გახდება: „რატომ არ გინდა, აქ იცხოვრო და ნამდვილი ცხოვრებით დატკბე?“; „არ გინდა, შეჩერდი!“; „შენი ოხერი ფული შენი შვილებისათვის არ გინდა?“; „რატომ არ გინდა, მისი წინადადება მიიღო?“

აღსანიშნავია, რომ რაც არ უნდა იყოს ზოგჯერ ზოგადი შინაარსის გამოთქმადაც გამოიყენება: „– კეთილი! – მიპასუხა, – რაც არ უნდა იყოს, აქვეა, ყურისძირში!“; „რაც არ უნდა იყვეს, თქვენი სისხლ-ხორცია მაინც! ... – მიმართა მოხუცებულს“; „რაც არ უნდა იყოს, ბოროტმოქმედი ბოროტმოქმედია და თავდასხმა ყოველდღე არ ხდება, მაგრამ მე არ შემშინებია, უბრალოდ გამიკვირდა“; „კარგად იცი, რაც არ უნდა იყოს, ვისკონტისტი ვარ“; „– ჰგავს, მაგრამ ... რაც არ უნდა იყოს, მასწავლებელია“.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ქართული ენის ბუნებრივი კონსტრუქცია თუ გვინდა დავიცვათ, ვიხმაროთ მხოლოდ დადებითი სახით: ვინც უნდა იყოს, რაც უნდა იყოს და სხვ“. აკრძალვის არგუმენტად კი საგანგებო კვლევის ანალიზზე მოხმობილია შემდეგი არგუმენტები: 1. დასახელებული უარყოფითი შესიტყვება ქართველურ ენათა პირვანდელი დამახასიათებელი არ არის, 2. იგი იმანენტურად არ განვითარებულა, 3. უცხო ენიდან – რუსულიდან – არის გადმოსული (თოფურია, 1991: 119). ხაზგასმულია ისიც, რომ სტილისტიკური შეცდომაა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც დათმობითი დამოკიდებული წინადადების „უნდა“ ნაწილაკდართულ საკავშირებელ სიტყვებთან – რაც უნდა, ვინც უნდა, რამდენიც უნდა, როგორც უნდა, რომელიც უნდა, სადაც უნდა – ხმარობენ არ უარყოფით ნაწილაკს (ბასილია, 1991: 240).

დეტალურადაა შესწავლილი ვინც/რაც/სადაც... არ უნდა იყო ტიპის გამოთქმათა ევოლუციის საკითხი თანამედროვე ქართულში (პაპიძე, 1993). გამოკვლეულია, რომ ძველ ქართულში აღნიშნული კონსტრუქცია არ გვხვდება, რადგან უნდა-ს ნაწილაკად ქცევა და წმინდა მოდალური მნიშვნელობით მისი გამოყენება მოგვიანო ხანის მოვლენაა. დასახელებული გამოთქმები ძალზე იშვიათია მე-19 საუკუნის მწერლობაში, ფაქტობრივ, არ შეინიშნება. ამგვარი ენობრივი ფაქტი უფრო მიეწერება რუსული ენის გავლენას, თუმცა გამოტანილია დასკვნა, რომ რუსულისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა ასე იოლად ვერ დამკვიდრდებოდა, მას გარკვეული შინაგანი ენობრივი მოთხოვნილება და ზოგ სტერეოტიპულ გამოთქმაში ხმარების ტრადიცია რომ არ დახვედროდა (პაპიძე, 1993: 313-314). სამართლიანადაა შენიშნული, რომ „განსახილველი (ვინც/რაც/სადაც... არ უნდა იყო) შესიტყვებების მთავარი სემანტიკური ნიშანი არის კატეგორიულობა, მთავარი წინადადებით გადმოცემულია მოსაუბრის კატეგორიული გადაწყვეტილება, დამოკიდებულება რაიმე საქმის შესრულებასთან დაკავშირებით ან უკიდურესი მაქსიმალიზმი რაიმე მოვლენის შეფასებისას. ამ კატეგორიულობის ხაზგასმა ხდება დამოკიდებული წინადადებით, რომლის საშუალებითაც გამოირიცხება ალტერნატიული მოქმედების დაშვების შესაძლებლობა“ (პაპიძე, 1993: 288). იქვე დასახელებულია აღნიშნულ გამოთქმებში არ ნაწილაკის გაჩენის ხელშემწყობი ორი არგუმენტი: 1. არ ნაწილაკის ჩართვა ხელს უწყობს უნდა ნაწილაკის კიდევ უფრო განაწილაკებას, ნაწილაკისა და ზმნის ლექსიკალიზაციას, მათს აღქმას ერთ მთლიან სემანტიკურ ოდენობად; 2. უმთავრესი მიზეზი არის ძველი, არ ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილი გამოთქმის ფუნქციური უკმარისობა, სემანტიკური დატვირთვის შესუსტება. საერთოდ დასკვნა კი ისაა, რომ არ ნაწილაკის ამგვარ გამოყენებას მოითხოვს გამოთქმისთვის ექსპრესიულობის შენარჩუნება, ხოლო რიგ შემთხვევებში – მისი გაძლიერების საჭიროება (პაპიძე, 1993: 315).

ჩვენც ვფიქრობთ, დასახელებულ შემთხვევებში არ ნაწილაკი სწორედ რომ სტილისტიკური დანიშნულებითაა გამოყენებული. მაგრამ დავამატებთ ერთ გარემოებასაც – როგორც ზემოთ აღინიშნა, მისით არა უარყოფით შინაარსი, არამედ, პირიქით, დადებითი სემანტიკა აღინიშნება. ის აძლიერებს უნდათი გამოთქმულ მოქმედებას. ერთი შეხედვით შინაარსობრივი უზუსტობაა, რადგან რაც არ უნდა გააკეთო, ამას ვერ შეძლებ, ვინც არ უნდა იყო, მაინც არ შეგერჩება ტიპის წინადადებში არ ნაწილაკის დამატებით გამოდის, რომ მოქმედების უარყოფითად გადმოცემაა მაშინ, როცა კონტექსტი დადებითს გულისხმობს. შდრ.: რაც უნდა გააკეთო, ვინც უნდა იყო... მაგრამ დასახელებულ წინადადებებში სწორედ არ ნაწილაკი უსვამს ხაზს უნდათი დაკავშირებულ მოქმედების შესრულებაზე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მოხმობილი სახის წინადადებები სწორედ სტილისტიკური შინაარსითაა განპირობებული და შეცდომადაც აღარ უნდა ჩაითვალოს. აქაც მსჯელობის ნეგატიური ფორმა პოზიტიურის ფუნქციით არის გამოყენებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმით უკუთქმითი, შინაარსით კი წართქმითი წინადადებებია. ამგვარი შინაარსით დასახელებული კონსტრუქციები ღრმადაა გამჯდარი და დამკვიდრებული დღევანდელ მეტყველებაში.

მოყვანილ თვალსაზრისს აძლიერებს ზეპირმეტყველებაში ერთდროულად ორი მიგებითი ნაწილაკით კითხვის, ნათქვამის გაძლიერებითი ფუნქციით გამოყენება. ის ძირითადად დიალოგურ მეტყველებაში გამოიყენება ხოლმე. ამგვარი ფორმები ხან დათანხმებას აძლიერებს, ხან უარყოფას. საინტერესოა ის, რომ ამის მისაღწევად მოსაუბრე საპირისპირო მნიშვნელობის ნაწილაკებს იყენებს:

– ამ ყველაფერს აუცილებლად ვეტყვი!

– ხო არა? (ანუ თან ეკითხება და ამავდროულად აძლიერებს კითხვას, ასე ნამდვილად მოიქცევა?) ასეთ შემთხვევაში არა დაცლილია უარყოფითი შინაარსისაგან და მხოლოდ ნათქვამის გაძლიერებას ემსახურება.

– მე შევძლებ ამ დოკუმენტის თქვენთვის გადმოცემას.

– კი ჰო?

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი არა საპირისპირო, არამედ ორივე დადასტურებითი ნაწილაკია და ამის საშუალებით ახერხებს მთქმელი ნათქვამის დადასტურებას. ეს ხერხიც გაძლიერებითი დანიშნულებისათვის გამოიყენება.

ურთიერთსაპირისპირო ფუნქციის ნაწილაკები გამოიყენება პირიქით მნიშვნელობითაც, როცა შინაარსი უარყოფითია და ამ უარყოფას აძლიერებს და ადასტურებს დადებითი შინაარსის ჰო ნაწილაკი:

– მე არასოდე ვიზამ ამას!

– არა ჰო?

**დასკვნა.** მართლაც, ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ხშირად, განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში, წინადადებაში გამოყენებული ნეგატიური ფორმა პოზიტიურის ფუნქციით არის წარმოჩენილი, რადგან ამგვარი კონსტრუქციები ფორმით უკუთქმითი, შინაარსით კი წართქმითი წინადადებებია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, რ. (1982). *მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი*. თბილისი.
- ბასილაია, ნ. (1991). *ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა*. თბილისი.
- დავითიანი, ა. (1978). *ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.
- თოფურია, ვ. (1991). ერთი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. XXX. თბილისი.
- კვაჭაძე, ლ. (2010). *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.
- პაპიძე, ა. (1993). ერთი ტიპის კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წიგნი მეათე. თბილისი.
- ქურდაძე, რ., თვალთვაძე, დ., ლომია, მ., მარგიანი-სუბარი, ქ. & ზექალაშვილი, რ. (2016). უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში. *ქართველოლოგი*. N25 (10). თბილისი.
- ქურდაძე, რ., ლომია, მ., მარგიანი, ქ., & ჭუმბურიძე, ნ. (2022). *უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში*. თბილისი.
- შანიძე, ა. (1980). *თხზულებანი*. III. თბილისი.
- ჭიკაძე, რ. (2017). შეკვეცილი კონსტრუქციის წინადადების პრედიკატიან და უპრედიკატო კომპონენტთა მორფოლოგიურ-სინტაქსური ურთიერთგანპირობებულობა (პრესის ენის მიხედვით). *ლინგვისტური სჯანი*. თბილისი.

#### REFERENCES:

- asatiani, r. (1982). *mart'ivi ts'inadadebis t'ip'ologiuri analizi* [Typological analysis of the simple sentence]. Tbilisi.
- basilaia, n. (1991). *kartuli enis p'rakt'ik'uli st'ilist'ik'a* [Practical stylistics of the Georgian language]. Tbilisi.
- davitiani, a. (1978). *kartuli enis sint'aksi* [Georgian Syntax]. Tbilisi.
- topuria, v. (1991). erti sint'aksuri k'onst'ructsiisatvis kartulshi [On one syntactic construction in Georgian]. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba* [Ibero-Caucasian Linguistics]. XXX. Tbilisi.
- k'vach'adze, l. (2010). *tanamedrove kartuli enis sint'aksi* [Modern Georgian Syntax]. Tbilisi.

- p'ap'idze, a. (1993). erti t'ip'is k'onst'ruktsiis evolutsiisatvis kartulshi [On the evolution of one type of construction in Georgian]. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi* [Issues of Georgian Speech Culture]. X. Tbilisi.
- kurdadze, r., tvaltvadze, d., lomias, m., margiani-subari, k. & zekalashvili, r. (2016). uarqopis gamokhat'vis enobrivi sashualebebi kartvelur enebshi [Linguistic means of expressing negation in the Kartvelian languages]. *kartvelologi* [Kartvelologist]. N25 (10). Tbilisi.
- kurdadze, r., lomias, m., margiani, k., & ch'umburidze, n. (2022). *uarqopis k'at'egoria kartvelur enebshi* [The category of negation in the Kartvelian languages]. Tbilisi.
- shanidze, a. (1980). *tkhzulebani* [Essays]. III. Tbilisi.
- ch'ik'adze, r. (2017). shek'vetsili k'onst'ruktsiis ts'inadadebis p'redik'at'ian da up'redik'at'o k'omp'onent'ta morpologiur-sint'aksuri urtiertganp'irobebuloba (p'eresis enis mikhedvit) [Morphological-syntactic interdependence of the components with a predicate and without it in contracted sentences (based on the language of the press)]. *lingvist'uri sjani* [Linguistic Discussions]. Tbilisi.